

**სს „ქაშანური“
ფინანსური ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	
სრული შემოსავლის ანგარიშგება-----	
ფულადი ნაკადების ანგარიშგება-----	
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება-----	
ზოგადი ინფორმაცია-----	
სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა-----	
მნიშვნელოვან მოვლენა -----	
ფულადი და ფულის ექვივალენტები-----	
მოთხოვნები გაწეული მომსახურებდან-----	
მოთხოვნები წინასწარი გადახდით-----	
მარაგები-----	
ძირითადი საშუალებები-----	
საგადასახადო ვალდებულებები/მოთხოვნები-----	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები -----	
შემოსავალი-----	
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი-----	
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი-----	
მარაგების ხარჯი -----	
საგადასახადო ხარჯი-----	
სხვა საოპერაციო ხარჯი-----	
არასაოპერაციო ხარჯები-----	
მიღებული პროცენტები/გაცემული დივიდენდები----	
ძირითადი საშუალებების ყიდვები-----	
კაპიტალი-----	
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები-----	

**სააქციო საზოგადოება „ქაშანური“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 31/12/2022 წელს**

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	3085410	2829240
საქონლის გაყიდვიდან	3085410	2381537
მომსახურების გაწვიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0	0
სხვა	0	447703
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	3085410	2829240
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-210303	-320032
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-38729	-15922
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-734728	-464128
სულ საოპერაციო ხარჯები	-983760	-800082
საოპერაციო მოგება	2101650	2029158
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2101650	2029158
მოგების გადასახადის ხარჯი	581608	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2683258	2029158
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2683258	2029158
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3186078	3351058
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2204200	-1087396
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-149436	-1106742
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3515700	3186078

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ხელმოწერილი და დამტკიცებულია

26.09.2023 წ.

დირექტორი ნინო მუჯირი



Type text here

**სააქციო საზოგადოება „ქაშანური“ სრული შემოსავლების ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 31/12/2022 წელს**

ქართული ლარი

დასახელება	2022 weli
შემოსავალი საიჯარო საქმიანობიდან	0
არასაოპერაციო შემოსავალი	3085410
სულ შემოსავალი	3085410
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	210303
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	38729
სხვა საოპერაციო ხარჯი	734728
არასაოპერაციო ხარჯები	
სულ ხარჯი	983760
საანგარიშო პერიოდის მოგება- ზარალი	2683258

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ხელმოწერილი და დამტკიცებულია

26.09.0 2023წ.

დირექტორი ნინო მუჯირი



სააქციო საზოგადოება „ქაშანური“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 31/12/2022 წელს

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	31421820	3518720
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2605429	-3424966
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	536753	93754
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2356847	2263093
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2893600	2356847

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ხელმოწერილი და დამტკიცებულია

26.09. 2023წ.

დირექტორი ნინო მუჯირი



**სააქციო საზოგადოება „ქაშანური“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 31/12/2022 წელს**

ქართული ლარი

დასახელება	შენიშვნა:	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		3680936
შემოსავალი		3680936
გადახდილი ხელფასები		210303
საქონლის და მომსახურების ყიდვები		0
გადახდილი გადასახადები		581608
გაცემული დივიდენდები		2204200
სხვა გასავალი		234874
საპენსიო ფონდში გადახდილი შენატანები		3532
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3680936
ძირითადი საშუალებების ყიდვები		
გაცემული სესხი		0
დაბრუნებული სესხი		0
გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		3144183
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო წლის დასაწყისში		2356847
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო წლის ბოლოს		2893600
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		0

ხელმოწერილი და დამტკიცებულია

26.09.2023. წ.

დირექტორი ნინო მუჯირი



Type text here

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ქაშანური“ (შემდგომში საზოგადოება) რეგისტრირებულია 14/08/1996 კოდი-206048819. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი 13 კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ქონების გაქირავებით (იჯარით გაცემული არასაცხოვრებელი ფართი) კომპანიაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 9 თანამშრომელი. დამფუძნებლებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები. აქციონერთა რაოდენობა შეადგენს 616/ ექვსასთექვსმეტ აქციონერს

მმართველობის ორგანო აქციონერთა კრება სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე/წევრი: ბესარიონ პაპავა, 01005025324 წევრი: მერი თავდიდიშვილი, 01013006723 წევრი: ზურაბ ცაგარიშვილი, 01030044717

საზოგადოების სააქციო კაპიტალი შეადგენს 524213 /ხუთასოცდაოთხიასორასცამეტ/ ლარს აქციონერთა რაოდენობა შეადგენს 616/ ექვსასთექვსმეტ აქციონერს

2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. სს „ქაშანური“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რადგანაც არსებობს საკმარისი რწმუნება იმის შესახებ, რომ საზოგადოება ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. საზოგადოების ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი

წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შეფასების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არის გათვალისწინებული.

საზოგადოება ოპერაციებს აღრიცხავს და აღიარებს მათი ეკონომიური შინაარსიდან გამომდინარე, თუმცა ითვალისწინებს მათ სამართლებრივ მხარესაც.

საზოგადოების საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის დაფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წარმოებს პირდაპირი მეთოდით. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

გამოყენებულია საბუღალტრო პროგრამა” ორისი“.

სამართლიანი ღირებულება. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ჰიპოთეტური ოპერაციის შემთხვევაში. როდესაც ხდება სამართლიანი ღირებულების შეფასება, საზოგადოება იყენებს საჯაროდ გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების პირდაპირ დადგენა, საზოგადოება ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს.

მარაგები შედგება აქტივებისგან რომელთაც მასალის დანიშნულება აქვთ. ისინი ფასდება თვითღირებულებას და ნეტო სარიალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება იმ ღირებულებით რომელიც გაწეულ იქნა მის მოცემულ ადგილამდე და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. იგი მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და საწარმოს ზედნადებ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით.

მარაგების ჩამოწრა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები. თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალი. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური

სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება ხარჯებში ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

-პროგრამული უზრუნველყოფა 10 წელი;

-სხვა არამატერიალური აქტივები 10 წელი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ ერიცხება. არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. საწყისი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწრა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ სამართლიან ღირებულებას.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს. **მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

დივიდენდები. დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში. **გაქვითვა.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთჩარიცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი

წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შემოსავლებს წარმოადგენს ქონების გაყიდვით და იჯარით გაცემული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ მთლიანი ეკონომიური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელთა გაზომვა საიმედოთააშესაძლებელი.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა შეიძინამისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

ხარჯების აღიარება ხდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად. ხარჯები აღიარდება მოგება- ზარალის ანგარიშგებაში გაწევისთანავე, თუ მის შედეგად მოსალოდნელი აღარ არის ეკონომიურისარგებლის მიღება ან თუ მომავალი ეკონომიური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან წყვეტს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელიც მის ბალანსში აქტივად აღიარებისთვისაა აუცილებელი.

3. მნიშვნელოვანი მოვლენა.

საანგარიშგებო პერიოდში აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

. ფულადი და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები	2354499	2890540
ფული სალაროში (ნაღდი ფული)	2347	3060
ჯამი:	2356847	289360

საზოგადოებს ხელმძრვანელობა არ მოეღოს რაიმე სახის ზარალს იმ ბანკების ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობის გამო, სადაც ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებია განთავსებული. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბალანსო და რეალური ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

4. მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან

გაწეული მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება) მოიცავს შემდეგს:

დასახელება	31.12.2022
მოიჯარეები (კერძო სუბიექტები)	10276

5. მარაგები მოიცავს შემდეგს:

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	მიღება	გასვლა	ნაშთი 31.12.2022
ნედლეული და მასალები	300	0	0	300

6. ძირითადი საშუალებები მოიცავს შემდეგს:

	მიწა	შენობა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	2022 წლის ბოლოს
თვითღირებულება 2022 წლის ბოლოს	29726	542346	62493	23205	657772
შეძენა 2021 წელს	0	0			728279
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის ბოლოს		36298	24942	12550	73791
ცვეთის ხარჯი 2022 წლის		25403	7516	3645	15922
გასავალი/ჩამოწერა/	37843	124019		11810	87539
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის ბოლოს		2299	32452	16195	50948
საბალანსო ღირ-ბა 31 .12.2022 წლისთვის	29726	540047	30041	7010	606572

7. საგადასახადო ვალდებულებები/მოთხოვნები

საგადასახადო ვალდებულებები/მოთხოვნები წარმოადგენს 31.12.2022-ის მდგომარეობით წარმოქმნილ ვალდებულებებს/მოთხოვნებს ბიუჯეტის მიმართ, რომელთა გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა (საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად), ან ადგილი თანხის ზედმეტად გადახდას.

8. გაცემული დივიდენდები

აღნიშნული სახის შემოსავლების და ხარჯების ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღრიცხვის მიზნით გამოყენებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)-ის 7.15 მუხლის დაშვებები, კერძოდ: “საწარმოს უფლება აქვს, გადახდილ პროცენტებს, ასევე მიღებულ პროცენტებსა და დივიდენდებს მიანიჭოს საოპერაციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან ისინი მონაწილეობს მოგების ან ზარალის განსაზღვრაში”.
ანუ მიღებული პროცენტებს და გაცემული დივიდენდებს მიენიჭა საოპერაციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია (და არა საფინანსო ან საინვესტიციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია).

9. კაპიტალი

ცხრილში მოცემულია კომპანიის კაპიტალის სიდიდე დასახელების მიხედვით 2021 და 2020 წლების ბოლოსათვის

ლარი

დასახელება	31.12.2022 წ.
საწესდებო კაპიტალი	524213
სხვა რეზერვი	2907234

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა სხვა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.

დირექტორი ნინო მუჯირი

26.09.2023 წელი

